თბილისის “დინამოს” მეთხუთმეტე გამარჯვება

25 სექტემბერს ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “სპარტაკის” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

მატჩი დაიწყო მოსკოველთა იერიშებით. მიუხედავად ამისა, თამაშის პირველი ნახევარი უშედეგოდ დამთავრდა.

მეორე ტაიმი თბილისელთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ანგარიში მაინც დიდხანს არ გახსნილა. თამაშის დამთავრებას აკლდა სულ რამდენიმე წუთი, როცა ბ. პაიჭაძემ ბერეჟნოისაგან მიღებული ბურთი ზუსტი დარტყმით გაგზავნა მოწინააღმდეგის კარში. მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0. ეს თბილისის “დინამოს” მეთხუთმეტე გამარჯვებაა მიმდინარე სეზონში.

27 სექტემბერი, 1946 წ.